სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის

ბრძანება №19/ნ

2023 წლის 22 თებერვალი

ქ. თბილისი

დეპოზიტორისთვის ასანაზღაურებელი დაზღვეული დეპოზიტის ანაზღაურებადი თანხის მაქსიმალური ოდენობის – ზღვრის განსაზღვრის თაობაზე

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ზღვრის ოდენობად განისაზღვროს 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2024 წლის პირველი იანვრიდან.

მუხლი 3

ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დეპოზიტორისთვის ასანაზღაურებელი დაზღვეული დეპოზიტის ანაზღაურებადი თანხის მაქსიმალური ოდენობის – ზღვრის განსაზღვრის თაობაზე“ სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის 2020 წლის 12 მარტის №9/ნ ბრძანება.

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსი **ლევან თოდუა**